ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №88

2011 წლის 18 ივლისი

ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გასართობი ტიპის მოძრავი მოტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის აკრძალვის შესახებ

საკურორტო სეზონის დადგომასთან დაკავშირებით ქ. ქობულეთის ტერიტორიაზე მომრავლდა გასართობი ტიპის მოძრავი მოტოსატრანსპორტო საშუალებები, რომელთა უკონტროლო მოძრაობა საფრთხეს უქმნის როგორც სატრანსპორტო საშუალებებს ასევე ფეხით მოსიარულეებს „მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ნ” და „რ“ ქვეპუნქტებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად:

1. აიკრძალოს ქ.ქობულეთში მეგობრობის, თავისუფლების ქუჩებზე და თამარ მეფის სანაპიროზე მოტოსატრანსპორტო საშუალებათა მოძრაობა გარდა დავით აღმაშენებლის გამზირის დასავლეთი მხარე №375-დან ზურაბ ჟვანიას სახელობის ხიდამდე და მეგობრობის ქუჩა №40-ის მიმდებარედ.

ა) აიკრძალოს ველოსიპედებით მოძრაობა თამარ მეფის სანაპიროზე საღამოს 20 საათიდან დილის 06 საათამდე.

2. დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს (ა. ყურშუბაძე) უზრუნველყოს განკარგულების შესრულებაზე კონტროლი შესაბამის სამსახურებთან ერთად.

3. ეთხოვოს ქობულეთის რაიონული პოლიციის სამმართველოს უფროსს (დ. ბეჟანიძე) დახმარება აღმოუჩინოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამის სამსახურებს განკარგულების შესრულებაში.

4. აღნიშნული განკარგულება ცნობად მიიღოს საპატრულო პოლიციამ.

5. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 10 ივლისის №66 განკარგულება.

6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში ქობულეთის რაიონულ სასამართლოში. (მისამართი: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის №-30)

7. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ნ. ბერაძე**